ხაშურის მოამბე

№5 (287) 1 მარტი, ორშაბათი, 2021 წელი

ალინიშნა ლესია უკრაინკას დაბადებიდან 150 წლისთავი

უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ლესია უკრაინკას ძეგლი გვირგვინით შეამკეს ადგილობრივი, ცენტრალური ხელისუფლების და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებმა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, საქართველოში ლესია უკრაინკას საზოგადოების ხელმძღვანელი ტარიელ გოგალაძე და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი იგორ დოლგოვი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე კახაბერ კუჭავა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე.

ღონისძიებაზე, ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში ჩართულ პირებს სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, უკრაინის საელჩოს ინიციატივით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით, დაბა სურამში უკვე მეორე წელია ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც ძეგლთა დაცვითი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით ხორციელდება. სარეაბილიტაციო პროექტი სახლ-მუზეუმის კონსტრუქციულ გამაგრებასთან, ახალი არქიტექტურული სივრცეების აგებასთან და ინტერიერის მოწყობასთან ერთად, ეზოს გალავნის გამაგრებასაც მოიცავს. ამავდროულად, პროექტი ითვალისწინებს სახლ-მუზეუმის ეზოს ინფრასტრუქტურულ მოწყობას და საკომუნიკაციო სისტემების მოდერნიზებასაც.

სარეაბილიტაციო პროცესის მსვლელობისას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სამუზეუმო ექსპონატების დაცულ სივრცეში განთავსებას უზრუნველყოფს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაკვეთის მიხედვით მომზადდება სახლ-მუზეუმის თანამედროვე მუზეოგრაფიის კონცეფცია და პროექტი, რაც სამომავლოდ სამუზეუმო სივრცეს მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს.

არსებული გეგმის მიხედვით, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო პროცესი 2022 წლის ბოლომდე გასტანს.

(თემის გაგრძელება იხ. II გვ.)

3 მარტს დედის დღეა, გილოცავთ!

კორონავირუსის გამო დაწესებული რეგულაციები შემსუბუქდა

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით:

• სასტუმროები სამთო კურორტებზე 25 თებერვლიდან გაიხსნა არსებული ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;

• სამთო კურორტებზე არსებული საბაგიროები გაიხსნება 8 მარტიდან, ასევე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;

• საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ამოქმედდა 25 თებერვლიდან;

• რესტორნები შიდა სივრცეებში ფუნქციონირებას განაახლებენ შაბათ-კვირის გარდა ბათუმში 1 მარტიდან, ხოლო დანარჩენ საქართველოში 8 მარტიდან;

• ამასთან, ძალაში რჩება 21 საათიდან დილის 5 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა;

• რესტორნების შიდა სივრცეებში მოუწევთ დადგენილი რეკომენდაციებისა და სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება;

• კონფერენციები და ტრენინგები შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განახლდა 1 მარტიდან;

• სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ 15 მარტიდან განსაზღვრული რეგულაციების დაცვით;

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფუნქციონირებას აღადგენენ 1 მარტიდან, 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20 %-ის სავალდებულო ტესტირების პირობით;

• უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩატარებას შეძლებენ 1 მარტიდან, ხოლო სასწავლო პროცესის აუდიტორიებში აღდგენას - 15 მარტიდან;

• სასკოლო წრეები ასევე განახლდება 15 მარტიდან;

• მუზეუმებმა და ბიბლიოთეკებმა საქმიანობა განაახლეს 1 მარტიდან;

• თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენას (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები მაყურებლის დასწრებით) 1 აპრილიდან;

• არასასურსათო საცალო ვაჭრობა შაბათ-კვირის ჩათვლით, იგულისხმება როგორც სავაჭრო მოლები, ისე ბაზრობები, მუშაობას განაახლებენ 8 მარტიდან;

• საკოორდინაციო საბჭოზე ასევე მიიღეს გადაწყვეტილება ქვეყანაში ვიზიტორების დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემდგომ შემსუბუქებაზე, კერძოდ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს საქართველოს საჰაერო საზღვრის გავლით ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ პსრ ტესტის ნეგატიური პასუხით 1 მარტიდან დაემატა შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი. სახმელეთო საზღვრებზე ამ ეტაპზე ისევ შენარჩუნებულია დღეს მოქმედი რეჟიმი.

- 150 - ლესია უკრაინკა - 150

„მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“

საქართველოს მიწაზე, ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში - სურამში დაამთავრა თავისი სიცოცხლე დიდებულმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლ. უკრაინკამ.

ლესია უკრაინკას სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში, ქართველი ხალხი პატივისცემით იგონებს და აფასებს უკრაინის ლიტერატურის



გამოჩენილი კლასიკოსის ხსოვნას. ლესია უკრაინკა თავისი ცხოვრებით და შემოქმედების გარკვეული ნაწილით დაკავშირებულია ქართველი ხალხის ერთი პერიოდის ისტორიასთან.

ლესია უკრაინკა (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი) დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ქალაქ ნოვოგრად - ვოლინსკში. ბავშვობის წლები გაატარა სოფლად, ვოლინის მხარეში. პატარაობიდანვე გაეცნო მშობლიური ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის მდიდარ ზეპირსიტყვაობას, წარმტაც ზღაპრებსა და სიმღერებს. გულით შეიყვარა უკრაინული ბუნება, რომლის მომხიბლავი მშვენებაც შემდეგ არაერთხელ ასახა თავის ნაწარმოებებში.

ლესია უკრაინკას მშობლების ოჯახი ძალიან ახლოს იდგა უკრაინის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებასთან. პოეტის მამა, პეტრე კოსაჩი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო, ფართო ინტერესებისა და განათლების მქონე ადამიანი. დედა - ოლღა კოსაჩი ლიტერატორთა წრეს ეკუთვნოდა, მას მწერლობაში იცნობდნენ ოლენა პჩილკას ფსევდონიმით.

მშობლიურ ოჯახში დამკვიდრებულმა ლიტერატურულმა ინტერესებმა დიდი გავლენა იქონია ნიჭიერი ბავშვის განვითარებაზე. დედამ გააცნო მას უკრაინული ხალხური პოეზიის საუნჯე - ლექსები, ლეგენდები, თქმულებანი. მშობლების ოჯახში იკრიბებოდნენ ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები. მათთან ნაცნობობამ და კავშირმა პატარა ლესიას გაუღვიძა ბუნებრივი მიდრეკილება ლიტერატურისადმი, პოეტური შემოქმედებისადმი. 13 წლის ასაკში ლესია უკვე იწყებს ლიტერატურულ მუშაობას. ამ პერიოდში მან დაბეჭდა ლიტერატურული ლექსი „კონვალია“.

ლესია უკრაინკას პოეტურ ნაწარმოებთა პირველი კრებული გამოვიდა 1892 წელს. 7 წლის შემდეგ მან გამოსცა ნაწარმოებთა მეორე კრებული, 1902 წელს კი მესამე წიგნი. ლესია უკრაინკა ლექსების გარდა დრამატულ ნაწარმოებებსაც წერდა. იგი ცნობილი გახდა აგრეთვე თავისი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებითაც, რომელსაც ბეჭდავდა რუსული ჟურნალი „ჟიზნი“. პოეტი ქალი მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა რევოლუციურ ორგანიზაციებთან, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა მეფის პოლიციას. 90-იან წლებში, ლესია უკრაინკა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1907 წელს იგი დაპატიმრებულიც იყო.

ლესია უკრაინკას ცხოვრების ტრაგედიას შეადგენდა მისი ხანგრძლივი ავადმყოფობა. იგი ბავშვობიდანვე დასნეულდა ძვლის ჭლექით. 12 წლისას მას კიევში გაუკეთეს ოპერაცია. მარცხენა ხელის გულიდან ამოკვეთეს რამდენიმე ძვალი, მაგრამ ავადმყოფობა ძლიერდებოდა და პროცესი გადავიდა მარჯვენა ფეხის ძვალზე. იგი საშინელ ტანჯვას განიცდიდა. ძვლების ტუბერკულოზმა გამოიწვია ფილტვების, სიცოცხლის დასასრულს კი თირკმელების ტუბერკოლოზი. ლესიას მხოლოდ არაჩვეულებრივი ნებისყოფა ეხმარებოდა ამ ტკივილის დაძლევაში. მან დაწერა ლ;ექსი „უიმედოდ ვიმედოვნებ“, რომელიც მისი სიცოცხლის დევიზი გახდა.

ავადმყოფობის გამო, ლესიას არასოდეს უვლია სასწავლებელში, მაგრამ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვი, კერძო მასწავლებლების დახმარებით, დამოუკიდებლად მეცადინეობდა. მან მიიღო ევროპული განათლება და ღრმად ერკვეოდა სხვადასხვა სფეროს საკითხებში, ისტორიასა და ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ენათმეცნიერებაში, ეთნოგრაფიაში. იცოდა 14 ენა, გარდა მშობლიური უკრაინულის, მშვენივრად ფლობდა რუსულ, პოლონურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ბერძნულ, ლათინურ, იტალიურ, ბულგარულ ენებს. ესმოდა და ცოტა ლაპარაკობდა ესპანურ, არაბულ, ებრაულ და ქართულ ენებზე.

900-იანი წლებიდან მოყოლებული, ლესია გამუდმებით მოგზაურობდა თბილი ქვეყნების სანატორიუმებში სამკურნალოდ. 1903 წელს იგი ჩამოვიდა საქართველოში, სადაც გაატარა შემოდგომისა და ზამთრის თვეები. შემდეგი წლის შემოდგომაზე კვლავ ესტუმრა თბილისს და აქ დაჰყო რამდენიმე თვე. იგი მოწმე გახდა 1905 წლის რევოლუციური გამოსვლებისა. დედისადმი გაგზავნილ ბარათებში ლესია უკრაინკა დაწვრილებით აღწერს ქართველთა ბრძოლას მეფის თვითმმართველობის წინააღმდეგ. ლესია უკრაინკას ამ დროს ახლო ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან, კერძოდ, ცნობილ პედაგოგ და ლიტერატორ შიო ჩიტაძესთან, რომელიც მალე მეფის ჯალათების მსხვერპლი გახდა. ქართველ მოწინავე ახალგაზრდობას ლესია ჯერ კიდევ კიევში დაუახლოვდა. მეგობრობდა მათთან, კითხვასა და საუბრებში ატარებდა დროს ქართველ სტუდენტებთან. ქართველებმა მას „ვეფხისტყაოსანი“ გააცნეს. ქართველი სტუდენტებისგანვე მიიღო მან პირველი ცნობები საქართველოზე, მის ბუნებაზე, კულტურაზე, მწერლობასა და თეატრზე. ის გატაცებით ისმენდა სტუდენტების მიერ შესრულებულ ქართულ სიმღერებს. იმდროინდელი სტუდენტი ნესტორ ღამბარაშვილი იგონებს ლესია უკრაინკას სიტყვებს: „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო! რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“.

1907 წელს ლესია უკრაინკა ცოლად გაჰყვა კლიმენტი კვიტკას, რომელთანაც წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ისინი ერთად გაემგზავრენ ყირიმში საცხოვრებლად. 1908 წლის დეკემბერში ბრუნდებიან საქართველოში და ცხოვრობენ თელავში, სადაც მუშაობდა კვიტკა. ექიმებმა ლესია უკრაინკას კვლავ ურჩიეს კლიმატური მკურნალობა და ნოემბერში, მეუღლესთან ერთად, იგი გაემგზავრა ეგვიპტეში, სადაც იგი დარჩა 1910 წლის მაისამდე. ამ პერიოდში ლესია აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ისინი საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდნენ. ეს პერიოდიც ძალიან ნაყოფიერი იყო ლესიასათვის. ამ ორ წელში მან შექმნა უდიდესი ნაწარმოებები „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბატონი“. ლესია უკრაინკა იყო პოეტური შემოქმედების მწვერვალზე, მაგრამ სუსტ სხეულს ძალები აკლდებოდა. 1912 წლის შემოდგომაზე, ლესია უკრაინკა უკანასკნელად, მესამედ, მიემგზავრება ეგვიპტეში. 1913 წელს უკან ბრუნდება. მიუხედავად მგზავრობის სიძნელეებისა, მან გზად შეიარა კიევში, სადაც პოეტის საპატივსაცემოდ მოეწყო ზეიმი. უკანასკნელად გაიარა ლესიამ კიევის ქუჩებში. ვლადიმირის მთიდან უყურებდა მშობლიურ დნეპრს.

როდესაც საქართველოში დაბრუნდა, ავადმყოფობა გაუმწვავდა. კვიტკამ შეატყობინა დედას - ოლენა პჩილკას და დას - იზიდორას. ექიმები ურჩევდნენ მათ ავადმყოფი გადაეყვანათ მთაში, სადაც შეძლებდა მსუბუქად სუნთქვას. 1913 წლის 9 ივლისს, ლესია მანქანით გადაიყვანეს სურამში. იქირავეს ლამაზი აგარაკი დიდი აივნით. ლესიამ უკეთ იგრძნო თავი, უმცროსი დის ხელზე დაყრდნობით იგი გამოდიოდა აივანზე და ტკბებოდა მის წინ გადაშლილი

ულამაზესი პანორამით. ლესია უკანასკნელ დღეებშიც არ წყვეტდა შემოქმედებაზე ფიქრს. დედას კარნახობდა ახალი ნაწარმოების ჩანაფიქრს. ოლენა პჩილკა ტირილს ძლივს იკავებდა, თითქოს კარგავდა გრძნობას. დედა სასოწარკვეთილებაში იყო და მაინც იწერდა ლესიას უკანასკნელ პოეტურ სტროფებს, რომლებიც მიმართული იყო მზისკენ. დეპეშით გამოიძახეს და ოლგა, ლესია მოუთმენლად ელოდა დის ჩამოსვლას.

დადგა 1913 წლის 1 აგვისტო, ლესია ჩაქრა. ლესია უკრაინკამ ბევრი საინტერესო თხზულება საქართველოში დაწერა. საქართველოშია შექმნილი მისი დრამატული პოემა „ტყის სიმღერა“, პიესა „ქვის ბატონი“, დრამა „შემოდგომის ზღაპარი“ და სხვა ნაწარმოებები. ლესია უკრაინკა გარდაიცვალა სურამში 1913 წლის 19 ივლისს. მისი ნეშტი წასვენებულ იქნა სამშობლოში და დაიკრძალა კიევში ბაიკოვის სასაფლაოზე, მამისა და ძმის მიხეილის გვერდით. ოლენა პჩილკაც გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილთან ახლოს დაკრძალეს. ამჟამად იქ არის კოსაჩების ოჯახის მემორიალი, რომლის მონახულებისას არ შეიძლება არ გაგახსენდეს ლესია უკრაინკას სიტყვები უკვდავი ტყის სიმღერიდან: „არა, მე ცოცხალი ვარ! მარადიულად ვიცხოვრებ! გულში მაქვს ის, რასაც სიკვდილი არ შეუძლია“.

დედის დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

დედის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად აღნიშნავენ. ასევე განსხვავებულია მისი დაწესების ისტორია.

საქართველოში დედის დღე 3 მარტია. ის ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა. დედის დღეს საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ის ცალკე მაინც აღინიშნება. 3 მარტი ოფიციალურად უქმე დღეა. დღესასწაულს ქვეყანა სხვადასხვა ღონისძიებებით ხვდება. ტრადიციულად შვილები დედებს ყვავილებს, ღია ბარათებს ან სიმბოლურ საჩუქრებს ჩუქნიან.

„დედის დღის" სამშობლოდ შეერთებული შტატებია მიჩნეული. ამ დღის აღნიშვნის პირველი მცდელობა 1872 წელს იყო. აქტივისტმა ჯულია უორდსმა გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო ისეთი დღესასწაული, რომელიც გააერთიანებდა ყველა დედას მშვიდობისთვის ბრძოლაში. მან საამისოდ არაერთი აქცია მოაწყო, მაგრამ უსაფუძვლოდ. მხოლოდ მოგვიანებით, 1907 წელს, მოქალაქე ანა ჯავისმა, რომელიც ითვლება ამ დღის ერთ-ერთ ფუძემდებლად, დაიწყო ოფიციალური წერილების მიწერა ჩინოვნიკებისთვის, რომ აუცილებელი იყო დედის დღის დაწესება. მისი მცდელობები წარმატებით 1910 წელს დასრულდა და ვირჯინიის შტატში ოფიციალურად პირველად აღნიშნეს დედის დღე. ოთხ წელიწადში კი ის უკვე ოფიციალურად მიიღეს და მას მერე დღესასწაულს აღნიშნავენ ყოველი წლის მაისის მეორე კვირა დღეს. დედის დღეს ამერიკაში დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავენ. ადამიანები განსაკუთრებით აფასებენ და ხაზს უსვამენ მათ ცხოვრებაში დედის აუცილებლობას და მადლობას უხდიან მათ უანგარო, უპირობო სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის. დედის დღე ამერიკაში შობისა და ვალენტინობის შემდეგ ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. ამ დროს სატელეფონო ხაზები გადატვირთულია, საბარათე გაყიდვები პიკს აღწევს და რესტორნები სრული დატვირთვით მუშაობენ. დედის დღის ტრადიციები ძირითადად მოიცავს საუზმეს საწოლში, ყვავილების თაიგულს, ღია ბარათებს ან საჩუქარს, და ვახშამზე დაპატიჟებას.

დიდ ბრიტანეთში დედის დღის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს და ის აღინიშნება დიდმარხვის მეოთხე კვირას, გამომდინარე აქედან, მისი თარიღი მუდმივად ცვალებადია. მას მე- 17-ე საუკუნიდან აღნიშნავენ და დედის კვირეულს უწოდებენ. ინგლისიც, ფაქტობრივად, ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც გამოყო წელიწადში ერთი დღე დედის დღის აღსანიშნავად. ბრიტანეთში შემორჩენილია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც დედებისთვის ნუშის ნამცხვარს ამზადებენ და მას „მოტჰერინგ ცაკე" (დედის ნამცხვარს) უწოდებენ.

იაპონიაში დედის დღის დაწესებას პირველად 1931 წელს შეეცადნენ. მაშინ იყო სურვილი, რომ ეს დღე დამთხვეოდა იმპერატორის იუბილეს. ტრადიცია არ გაგრძელდა. ახლა იაპონიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში, დედებს ყვავილებს ჩუქნიან მაისის თვის პირველ კვირა დღეს.

გერმანიაში ამ დღესასწაულს საფუძველი 1923 წელს ჩაეყარა, ხოლო როგორც სახელმწიფო დღესასწაული აღინიშნება 1933 წლიდან. საფუძველი ფლორისტების გაერთიანებამ ჩაუყარა. მისი მიზანი იყო პატივი ეცათ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე დედებისათვის. მას შემდეგ წელიწადში ერთხელ, მაისის მეორე კვირას, გერმანელი დედები ე.წ. „ უტტერტაგ-ს", დედის დღეს ზეიმობენ.

საფრანგეთში დედის დღეს მაისის ბოლო კვირა დღეს აღნიშნავენ. ტრადიციულად ამ დღეს ოჯახში იმართება ოჯახური სადილი, ხოლო დედები საჩუქრად ყვავილების თაიგულის ფორმის ნამცხვარს იღებენ. დედის განსაკუთრებული როლის შესახებ საუბარი და პატვისცემა საფრანგეთში ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტეს ეპოქიდან მოდის, ხოლო 1950 წლიდან ოფიციალურად შეიქმნა.

ავსტრალიაში დედის დღე, ამერიკის მსგავსად, მაისის მეორე კვირა დღეს აღინიშნება, ტრადიციებითაც ეს ორი ქვეყანა მსგავსად აღნიშნავენ ამ დღეს. არსებობს დედის დღის მილოცვის ტრადიცია მიხაკებით (ისევე როგორც აშშ-ში), დედებს დღესასწაულს ფერადი მიხაკებით ულოცავენ, თეთრი მიხაკები კი გარდაცვლილი დედებისთვის პატივის მისაგებად გამოიყენება. გარდა საკუთარი დედებისა, ბავშვები პატივს სცემენ მათ ბებიებსა და სხვა ქალბატონებსაც, რომლებიც მათ დედებივით უვლიან და ზრუნავენ მათზე.

კანადაშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში, დედის დღის მისალოცად ყველაზე ხშირად ღია ბარათებს, ყვავილებსა და საჩუქრებს იყენებენ. იგი, შობისა და ვალენტინობის შემდეგ, სიდიდით მესამე დღესასწაულად მიიჩნევა. აღინიშნება მაისში ამერიკის და ავსტრალიის მსგავსად და ატარებს ძალიან დიდ ემოციურ დატვირთვას საზოგადოებაში."

ბრაზილიაში ყოველწლიურად მაისში აღინიშნება დედათა დღე. ბრაზილიაში ოჯახების დიდ ნაწილში სამზე მეტი ბავშვია, ამიტომაც მარტივი წარმოსადგენია როგორ მასშტაბურად და ემოციურად აღინიშნება ეს დღე. ტრადიციულად ამ დღესასწაულზე ოჯახის წევრები ერთად იკრიბებიან, სკოლებში კი საგანგებოდ ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იმართება.

უნდა მოგვარდეს!

მიუხედავად იმისა, რომ ხაშურში არ ვცხოვრობ, ეს ქალაქი ჩემთვის მშობლიური და ახლობელია. აქ ძალიან ბევრი ახლობელი, ნაცნობი და მეგობარი მყავს.

ამდენად, ყველა სიახლე, ცვლილებები ქალაქის კეთილმოწყობისა და იერსახის გაუმჯობესების საქმეში, წარმატებები, რომლებიც ხაშურის მკვიდრის მიერაა მოპოვებული, ძალზე მახარებს და უანგარო გულშემატკივართა რიგებში მაყენებს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ის, რომ აშკარად იგრძნობა ხაშურის მუნიციპალიტეტის ზრუნვა ქალაქის და მთლიანად მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლების ინფრასტრუქტურის სრულყოფის, მომსახურების სფეროს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, რის შესახებაც მართლაც ბევრია სასაუბრო. მაგრამ ამ წერილის მიზანი ყველაფრის დადებით კონტექსტში წარმოჩენა არ არის. მითუმეტეს, პრობლემები, ხარვეზები. ნაკლოვანებები ჯერ კიდევ საკმაოდაა, რომელთა გადაწყვეტა, მოგვარება მასპინძელსაც და სტუმარსაც სასიამოვნო გარემოს შეუქმნის.

პირველ რიგში, ხაშურის აგრობაზრის შესახებ მინდა აღვნიშნო, რომელიც თავისი ინფრასტრუქტურით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, მყიდველიც და გამყვიდველიც საკმაოდაა. წესრიგი და სისუფთავე აგრობაზრის მთავარი პოსტულატია. სიიაფე, მომსახურების მაღალი კულტურა თაფლივით იზიდავს მყიდველს. ყველაზე პრეტენზიული კლიენტიც კი მადლიერი რჩება მოვაჭრეთა მომსახურებით.

ყოველივე აღნიშნულს კი უთუოდ ჩრდილავს ის ფაქტი, რომ აგრობაზრის გარშემო არსებული მისასვლელები, განსაკუთრებით წვიმისა და თოვლჭყაპის დროს, კრიტიკას ვერ უძლებს.

მკითხველი დამემოწმება, რომ მისასვლელი გზები არა მარტო კეთილმოუწყობელია, არამედ მივარდნილი სოფლის ორღობესაც ვერ შეადარებთ. ტალახი, წუმპე, ანტისანიტარია ირგვლივ თვალსაჩინოა, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აგრობაზრის მიმდებარედ, იმ უსახელო ჩიხში, რომელსაც ბორჯომის ქუჩიდან ფრინველით მოვაჭრეებისაკენ, შემდეგ კი ე.წ. „სვანების" ჰიპერმარკეტისაკენ მივყავართ.

ნუთუ ძნელია ის, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, აგრობაზრის მეპატრონეებთან ერთად, იზრუნონ ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის გარშემო სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. კეთილმოწყობილი მისასვლელი გზებით ხომ პატივს ვცემთ მყიდველსაც და გამყიდველსაც, სტუმარსაც და მასპინძელსაც. მითუმეტეს, რომ ხაშურის აგრობაზარს ზაფხულობით უცხოელი სტუმრებიც მრავლად და ხშირად სტუმრობენ და გაკვირვებულები ხელებს შლიან, თუ რატომაა ასეთი კონტრასტები ხაშურის აგრობაზრის გარშემო?

რადგან კალამი გამექცა, ერთ დელიკატურ პრობლემასაც მინდა შევეხო. ფაქტია, ქალაქის ძირითადი ქუჩები ასფალტირებულია და სანიაღვრე არხებიცაა მოწყობილი. ეს კარგი ტენდენციაა და იგი ქალაქის სხვა ქუჩებსაც უნდა შეეხოს, რადგან დღეს მეზობელ მუნიციპალიტეტებში სოფლის ქუჩებსაც აღარ ტოვებენ ასფალტის გარეშე.

პრობლემა ისაა, რომ ასფალტის დაგების შემდეგ ქუჩებში სხვადასხვა დანიშნულების (კავშირგაბმულობის, წყალკანალის და სხვა) ე.წ. ჭების სახურავებს ისევ ძველ მდგომარეობაში ტოვებენ და არ ასწორებენ დაგებული ასფალტის დონეზე, რის გამოც ხელოვნურად იქმნება ე.წ. ღრმულები, რომლებიც სერიოზული სირთულეების წინაშე აყენებს ავტომძღოლებს. სიჩქარეაკრეფილი ავტომობილის მძღოლი ხშირად ვერ ამჩნევს ასეთ ღრმულებს და ავარიულ სიტუაციას ქმნის. არც თუ იშვიათად კი ავტომობილსაც აზიანებენ.

საგზაო ინფრასტრუქტურა ქალაქში ამ მხრივ ნამდვილად ვერ პასუხობს მოთხოვნებს და საჭიროა დროულად ვიზრუნოთ ხარვეზების გამოსასწორებლად.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2,3,4)

ავტორი თვლიდა, რომ „ივანე ჯავახიშვილი, როდესაც შეეხო აღნიშნულ ბრძოლას, სჩანს, იგი შეცდომაში შეიყვანა მემატიანის გამოთქმამ.” და მისაგან მომდინარეობს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციის შეცდომით გააზრება, ხოლო შემდეგ, მასზე დაყრდნობით, ასევე მცდარად გაიაზრეს დ. გვრიტიშვილმა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების” მე-3 ტომის შესაბამისი პერიოდისა და საქართველოს ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორებმა.

ქართველთა და მონღოლთა შორის 1260 წლის ბრძოლის ადგილის საკითხს დეტალურად შეეხო პროფ. გ. ყორანაშვილი,რომელმაც,1998 წელს, „სალიტერატურო გაზეთში”, გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის გარკვევისათვის”.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავდა საკითხის ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს და ჟამთააღმწერელის ტექსტის ანალიზის საფუძველზე, იძლეოდა დასკვნას: „...ჟამთააღმწერელი იშვიათი სიზუსტითა და მკაფიოობით აღწერს მომხდარი ორი ბრძოლის ადგილებს. მაგრამ საჭირო იყო ისტორიკოსთ მიმოეხილა ისინი და ისე ეწერა. ცხადია, ივანე ჯავახიშვილისაგან ამას ვერ მოვითხოვთ, მაგრამ სხვა ისტორიკოსთაგან, რომლებიც აღნიშნულ ისტორიულ სიუჟეტს შეეხნენ, ვინმეს ხომ უნდა გაეკეთებინა ეს. ამ შემთხვევაში, ისიც ნათელი შეიქნებოდა, რომ „შინდარა”, „გორის შინდარა” (ჩანს, იმხანად ადგილობრივ სხვა შინდარაც ყოფილა, რომლისაგან განსასხვავებლადაც გაჩნდა ტოპონიმი „გორის შინდარა”) უკავშირდება სრულიადაც არა გორის, არამედ ხაშურის მიდამოებს და 1260 წლის ცნობილ ბრძოლასაც სწორედ აქ ექნებოდა ადგილი. აქედან გამომდინარე, იგი შინდარის ბრძოლის სახელით უნდა მოიხსენიებოდეს.

აქ მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. როცა პროფ. გ. ყორანაშვილი ლაპარაკობს ერთი მხრივ შინდარაზე და მეორე მხრივ გორის შინდარაზე, როგორც დავინახეთ მიუთითებს, „ჩანს, იმხანად ადგილობრივ სხვა „შინდარაც” ყოფილა, რომლისაგან განსხვავებულადაც გაჩნდა ტოპონიმი „გორის შინდარა”.

ხაშურის რაიონში სხვა შინდარა არ ფიქსირდება, შეიძლება მსგავსი ან მიმსგავსებული ტოპონიმი მოიძებნოს სხვაგან – გორისა და ქარელის რაიონებში. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოიხსენიებს ჟამთააღმწერელი „შინდარას გორისას”, ეს ადგილობრივი რელიეფიდან გამომდინარეობს,რაზეც თავის დროზე მიუთითებდა გ. ზედგენიძე და ჩვენც.

პროფ. გ. ყორანაშვილი მკვლევარების გ. ზედგენიძის და გ. იმერლიშვილის მიმართ აღნიშნავს, რომ „...საბედნიეროდ, საკითხმა მიიქცია ადგილობრივ (ბორჯომსა და ხაშურში) მცხოვრები ორი ისტორიკოსის – აწ განსვენებული გ. ზედგენიძისა (გაკვრით) და გივი იმერლიშვილის (უფრო დაწვრილებით) ყურადღება. მათი სწორი შეხედულებით, აღნიშნული ბრძოლა სწორედ ხაშურთან, ყოფილ სოფელ შინდარასთან მოხდა. აქ ავტორთა მიმართ ორ შენიშვნას გამოვთქვამთ. გიორგი ზედგენიძის აზრით, ჟამთააღმწერლის თხზულებაში „უეჭველია, რომ აქ „შინდარას გორისას” არ უნდა იყოს, უთუოდ გადამწერთა შეცდომასთან უნდა გექონდეს საქმე ან უნდა იყოს „შინდარას გორას”, სადაც არღუნი შეიძლება, მდგარიყო ან შემდეგ იქმნა გადამწერთაგან მიმატებული გორისას, უფრო სავარაუდებელია პირველი”. ვფიქრობთ, რომ აქ გადამწერს არავითარი შეცდომა არ მოსვლია და „შინდარის გორისას” გრამატიკულად სწორია და გორთან სიახლოვე ამჯერად გამორიცხულია. რაც შეეხება გივი იმერლიშვილის სტატიას, აქ შეცდომის წყაროდ დასახელებულია „ქართველი ერის ისტორიის” შესაბამისი ადგილი. თუმცა, ჩვენს დიდ ისტორიკოსს აღნიშნული ადგილები თვითონ არ მიმოუხილავს, მაგრამ მიჰყვებოდა ჟამთააღმწერლის თხზულებას, აქედან გამომდინარე, იგი შორს იდგა ბრძოლის ადგილად გორის გამოცხადებისაგან. მისგან განსხვავებით, შეცდომის წყარო საძიებელია დავით გვრიტიშვილთან და შოთა მესხიასთან; სწორედ მათ დაუდეს სათავე ცნობილი ბრძოლის შინდარის ნაცვლად გორთან მტკიცებას”.

ამჯერად შევეხოთ აჯანყებულ ქართველთა და მონღოლთა შორის ბრძოლის მიმდინარეობას, რაც კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას სწორი დასკვნის გაკეთებისათვის. სანამ ჟამთააღმწერლის თხზულების შესაბამის ცნობებს შევეხებით, ჯერ ვახუშტი ბატონიშვილთან ვნახოთ როგორ არის ეს საკითხი გადმოცემული.

1260 წელს მონღოლების წინააღმდეგ აჯანყდა დავით გიორგის ძე, რომელმაც უარი თქვა მათთან ერთად ეგვიპტეში ლაშქრობაზე და სამცხეში გადავიდა სარგის ჯაყელთან. ფეოდალთა გარკვეულმა ნაწილმა მეფეს მხარი არ დაუჭირა და მონღოლებს მიემხრო. „უკუმოიქცა მეფე და მოვიდა სარგის ჯაყელისა ციხის ჯუარლისა თანა. ხოლო სხუანი ქართველნი წარვიდნენ წინაშე ყეენისა და ამყოფებოდა მეფე სამცხეს და მასპინძლობდა ყოვლითურთ სარგის.”

მონღოლებმა, დავით გიორგის ძის აჯანყების ამბის გაგებისთანავე, გვანცა დედოფალი და მცირეწლოვანი უფლისწული დემეტრე შეიპყრეს და ურდოში ტყვედ წაიყვანეს. ყაენმა დავით გიორგის ძის წინააღმდეგ „...წარმოავლინა არღუნ /20.000/ მხედრით და ქართველნიცა მუნ მყოფნი მის თანა, ხოლო მეფემან შეკრიბნა მესხნი, შავშ-კლარჯნი /8.000/ მხედარნი, წარმოავლინნა და დადგნენ ხევსა შინა მტკუარისასა”.

„მაშინ არღუნ წარმოავლინა /6.000/ მხედარნი, ეწყუნენ მესხნი, აქედამ /1500/ მხედარნი შოლის პირსა ზედა. აოტეს მესხთა თათარნი, მოსრნეს და ნეშტნი შეიხუეწნენ შინდარას არღუნის სპათა შინა”.

შოლის პირზე პირველი შებრძოლების დროს ქართველებმა სძლიეს მონღოლებს. არღუნი „განემზადა სივლტოლად”, ე.ი. უკან გასაბრუნებლად, მაგრამ მის ბანაკში მყოფი ქართველები მას ეუბნებოდნენ: „ჩვენ უწყით ბრძოლა მათი” და ურჩევდნენ ბრძოლის გაგრძელებას.

მართლაც, მონღოლები შემოუბრუნდნენ ქართველებს და დაამარცხეს. „მოიქცნენ და ყვეს ბრძოლა. გარნა კუალად ივლტოდნენ თათარნი, არამედ სიმცირით სულმოკლე იქმნენ მესხნი: ხოლო თათარნი ჩვეულებისამებრ მათთა უკ-მოიქცნენ და მოსრნეს მესხნი და სარგის მცირედითა სპით მოვიდა წინაშე მეფისა და არღუნ წარვიდა გამარჯვებული...”

როგორც ვხედავთ, ვახუშტის „აღწერიდან” მოტანილი ცნობების მიხედვით, აჯანყებული დავითი გიორგის ძე ქართველთა ლაშქრით დადგა „ხევსა შინა მტკუარისას.” არღუნმა დავითის წინააღმდეგ გამოგზავნა 6.000 მხედარი. ქართველებსა და მონღოლებს შორის ბრძოლა მოხდა „შოლის პირსა ზედა”. „აოტეს მესხთა თათარნი”. გადარჩენილი მონღოლები „შეიხუეწნენ შინდარას არღუნის სპათა შინა”.

ვახუშტის „აღწერიდან” მოტანილ ცნობებში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იგი შინდარას არ აკუთვნებს გორს. იგი უბრალოდ ლაპარაკობს შინდარაზე, როგორც გარკვეულ გეოგრაფიულ პუნქტზე, სადაც იდგა არღუნი თავისი ძირითადი ლაშქრით.

ე.ი. დავით გიორგის ძე ლაშქრით დგას მტკვრის ხეობაში – ტაშისკრისა და ახალდაბის სანახებში. ქართველებსა და მონღოლებს შორის ბრძოლა ხდება „შოლისპირსა ზედა”, ე.ი. მდ. შოლის სანაპიროზე (მდ. შოლა ქვიშხეთს ჩამოუდის აღმოსავლეთის მხრიდან). დამარცხებული მონღოლები მიდიან შინდარაში არღუნთან.

ვფიქრობთ, რომ არღუნი თავისი ძირითადი ლაშქრით არ დადგებოდა დავითისაგან შორს, კერძოდ, გორის შინდარაში. არც გორის შინდარაში უნდა მომხდარიყო ქართველებსა და მონღოლებს შორის ბრძოლა, არა მარტო იმიტომ რომ გორის შინდარა გეოგრაფილული მდებარეობით საკმაოდ დაშორებულია მტკვრის ხეობისაგან, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც მოუხერხებელი იქნებოდა არღუნისათვის. არღუნი, რომ გორის შინდარაში მდგარიყო, მის მიერ დავითის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქარი (6000 კაცი) საკმაოდ დიდი მანძილით (დაახლოებით 50 კილომეტრით) იქნებოდა დაშორებული ძირითადი ნაწილისაგან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც,რომ ამ შემთხვევაში უპირატესობა დავითის მხარეზე იქნებოდა ლაშქრის რაოდენობის მხრივ დავითის ლაშქარში 8000 კაცი იყო. სანამ დამარცხებული მონღოლები გორის შინდარაში ჩავიდოდნენ და არღუნი ახალი ძალებით წამოემართებოდა აჯანყებულებისაკენ, მანამ დავითს შესაძლებლობა მიეცემოდა თავისი ძალების შემდგომი გაზრდისა და განმტკიცებისათვის. ამას კი მონღოლები, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდნენ, სხვა გარემოებას, რომ თავი დავანებოთ, სამხედრო თვალსაზრისით მაინც.

ამიტომ არღუნი იდგა არა გორის შინდარაში, არამედ ხაშურის შინდარაში. ხაშურის შინდარა არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით არის ახლოს ტაშისკარისა და ახალდაბის სანახებთან, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც ხელსაყრელი იქნებოდა მონღოლებისათვის.

ჟამთააღმწერლის თხზულებაში დავით გიორგის ძის აჯანყება თითქმის ისევეა გადმოცემული, როგორც ეს შემდგომ აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს; მაგრამ მასთან ზუსტდება ზოგიერთი გასათვალისწინებელი მომენტი. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხი – სად იდგა არღუნის ლაშქარი, რომელ შინდარაში და სად მოხდა მეორე ბრძოლა მონღოლებსა და ქართველებს შორის.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჟამთააღმწერლის თხზულება XIV საუკუნეშია დაწერილი და მასში გადმოცემულია XIII- XIV საუკუნების საქართველოს ისტორიის საკითხები, კერძოდ, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ასწლოვანი ისტორია.

ამდენად, საკითხის გარკვევისავის თამამად შეგვიძლია, დავეყრდნოთ ჟამთააღმწერელს, თუმცა თვით იგი ლაპარაკობს „ შინდარას გორისასა” – ზე. მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ მემატიანე გულისხმობს არა გორის შინდარას, არამედ ხაშურის შინდარას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მკვლევართა მიერ შინდარას გორზე მიკუთვნებას, რა თქმა უნდა, იწვევს მემატიანის – ჟამთააღმწერლის– განცხადება იმის თაობაზე, რომ მონღოლები შოლის პირზე დამარცხების შემდეგ „შეიხუეწნენ რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისასა”. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონღოლებისათვის ხელსაყრელი არ იქნებოდა გორის შინდარში დგომა, ძირითადად ორი მიზეზით: გეოგრაფიული სიშორითა და სამხედრო თვალსაზრისით.

საკითხის გასარკვევად მოგვაქვს ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ვრცელი ამონაწერი.

„წარმოვიდა არღუნ მხედრითა ოცი ათასითა, შემოვლო განძა და სომხითი, და მოაწია თფილისს... ვითარცა ესმა მეფესა დავითს მოსვლა არღუნისი... მოუწოდა მესხთა, შავშ-კლარჯთა, და ვინცა დადგრომილ იყო ერთგულებასა ზედა მისსა. შეკრიბნა მცირედნი კაცნი, მხედარი რვა ათასი, და აჩინა მხედართ–მთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მხნე და შემმართებელი... და წარავლინა წინამიგებებად და წყობად არღუნისა, და წარემართნეს და დადგეს ხევთა. ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი, და დადგა სურამს, და წარმოავლინნა წინამებრძოლნი მხედარნი ექუსიათასი, და არღუნ დადგა შინდარას, და წინამბრძოლნი მივიდენენ ტაშის-კარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა. ხოლო აღიყარა სარგის ხევთათ და წარავლინნა წინამბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა შინა ათას ხუთასი მხედარი. არა უწყოდეს მოახლება არღუნისი, და წარემართნეს და განვლეს ხიდი ახალდაბისა... და განვიდეს სივიწროისაგან, წინამავალნი იხილეს რაზმი თათართა, და წინა განეწყუნეს ქართველნიცა, და მყის ზედა მიეტევნეს მესხნი, და პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი, და მოსწყიდნეს მრავალნი სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს თათართა მათ მესხნი, რომელ მცირედნიდა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შ ი ნ დ ა რ ა ს გ ო რ ი ს ა ს ა. და სდევნეს და მოსწყვიდნეს პირთა მახვილისათა, რამეთუ მხედართ-მთავარი სარგის და სპა მეფისა ვერღარა მოილოდინეს, ამისთვის რომელ თათართა რაზმი მახლობლად მდგომარე იყო. და ესრეთ ძლევითა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მიეგებნეს სარგისს და ლაშქართა. ხოლო ვითარ იხილა სარგის განმხიარულება და უვნებლად დაცვა, განიხარა... წარემართა არღუნს ზედა, გულითა ქველითა, ხოლო არღუნ სპათა მისთა მოუწოდა, და კუალად ქართველსა სპასა ზედა მისვლას მხილველი ივლტოდა, გარნა აყენებდეს ქართველნი წარჩინებულნი, და არა უტევდეს სივლტოლად, რომელთა უპირებდა თორელი კახა და ეტყოდა, ვითარმედ: „ქართველნი მეცნიერნი ვართ ომისა მათისანი, ჩუენ ვბრძოდით თქვენ წილ”. და ესრეთ ძლით არწმუნეს, და დადგა ადგილსა ზედა, და განაწყო მხედარნი.

ვითარ დაეახლნეს ურთიერთსა, ზედა მიუტევნეს მესხნი განლაღებულნი... და იქმნა ძლიერი ომი, და მრავალნი მოისრვოდეს არღუნის სპისაგან, და სივლტოლად მიდრკეს. პირველსავე მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩვეულება თათართა ლტოლვა და გარე-უკუნქცევნა, ანაზდად გარე-უკუნიქცეს. მაშინ სულმოკლე- ქმნულნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისვროდეს, ცოდვათა ჩუენთა სიმრავლითა განწირნა ღმერთმან და მისცნა ხელთა წარმართთასა, ხოლო უწყალოდ ჰხოცდეს, და მრავალნი სახელოვანნი მოისრნეს თათართა, რომელ მცირედნიდა ძალით განერნეს, და სდევნეს ახალდაბის ხიდამდე გინა უმეტესცა, ხოლო ზოგნი ტყუედ წარყვანებულ იქმნეს, გურკელელი მურვან და სხუანი მრავალნი. და ესრეთ შეიქცა არღუნ ყაენსა ულოს წინაშე, განმარჯვებული, ხოლო სარგის და მესხნი მივიდეს მეფის წინაშე, აწყურს, მყივისთა თვისთათვის მტირალნი, რამეთუ უმრავლესნი მოესრნეს, და დაშთომილ იყვნეს მცირედნი.”

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო

დღეს, 22 თებერვალს შეხვედრები გაიმართა სოფლებში: გომში, ხიდისყურში, ვაყაში, ქვემო აძვისში, ალში, ბრილში, დუმაცხოვში, ახალუბანში, ქინძათში, ცხეთიჯვარში, ქემფერში, ცოცხნარაში, წაბლოვანაში, ცედანში, ოძისში ცივწყაროში, უწლევში, ნაბახტევში, წაღვლში, კლდისწყაროში, ბროლოსანში, ჩორჩანაში, წედვერში, ქვიშხეთში, ტაშისკარში, მონასტერში, ბეღლითში, ბულბულისციხეში, სატივეში.

მოსახლეობას ხვდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსულებელი ზვიად ქურდაძე, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი დავით ღვალაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მუნიციპალიტეტისა და ადგილებზე მერის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ადგილობრივების აზრი მოისმინეს და მსჯელობის შემდეგ, პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: გომის მოსახლეობამ, სოფლის პროგრამით, ტრენაჟორების მოწყობა დაასახელა მნიშვნელოვნად, ხიდისყურში- სოფლის თავშეყრის ადგილის კეთილმოწყობა, ვაყაში- საბავშვო ბაღის შემოღობვა და სკვერის მშენებლობა, ქვემო აძვისში- სანიაღვრეების მოწყობა, ალში და ბრილში -სანიაღვრე არხების მოწყობა, ქინძათში და ცხეთიჯვარში- სასმელი წყლის ჭების მოწყობა, ახალუბანში- მინი სტადიონის, დუმაცხოვში-ატრაქციონების მოწყობა. ქემფერში- წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, ცოცხნარაში- საუბნო გზების მოხრეშვა, წაბლოვანაში -მინი სტადიონის მშენებლობის დაწყება, ცედანში- გზისპირა მოსაცდელის მოწყობა და საუბნო გზების მოხრეშვა, ოძისში- სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, ცივწყაროში -შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა. დაახლოებით მსგავსი სურათია სხვა სოფლებშიც.

პროცედურის მიხედვით, მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტები, დასამტკიცებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები, მომდევნო დღეებშიც გაგრძელდება და ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მოიცავს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტის გაცემა მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტის გაცემა მიმდინარეობს. პროცესებში უშუალოდ მონაწილეობს ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი თათია ბროლიძე. მისივე ინფორმაციით,ბაღის აღსაზრდელთა მშობლებს, ჯგუფის აღმზრდელები ინდივიდუალურად უკავშირდებიან და პროდუქტის გაცემის პროცედურას აცნობენ. უშუალოდ პროდუქტის გაცემა კი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის დადგენილი უსაფრთხოების წესების სრული დაცვით ხორციელდება.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის განკუთვნილ საკვებ პროდუქტს ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღის ყველა აღსაზრდელი მიიღებს.

ვილა „რბონა“ - აგროტურიზმის პირველი კერა ხაშურის მუნიციპალიტეტში

ჯაბა კაჭახიძე იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც სოფელში დაბრუნება და თავისი საქმის წამოწყება გადაწყვიტა. მიუხედავად იმის, რომ ხაშურელი არაა, რამდენიმე წლის წინ, მიწის ნაკვეთი შეძინა რბოლა-დამჩხეულას გზაგასაყარზე და აგრო სახლის მშენებლობა დაიწყო. მაშინ, ძალიან ცოტამ თუ იცოდა, აგრო ტურიზმის და მისი პერსპექტივის შესახებ. პროფესიულმა შეხებამ, სწორედ ამ მიმართულების განვითარება გადააწყვეტინა, მშენებლობა დაიწყო და დღეს „ვილა რბონას“ მასპინძელია. ყველაფერი მარტივად და ერთიანად არ დაწყებულა, თუმცა, დღეს, „ვილა რბონაში“ ქართლისთვის დამახასიათებელი გარემო, საოჯახო მარანი და კერძები დაგხვდებათ და ღამის გათევასაც კომფორტულ პირობებში შეძლებთ. თუ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, თავად ჯაბა ისაუბრებს:

–2006 წელს, სამსახურის გამო, მომიწია ხაშურში ცხოვრება, ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო ავაშენეთ და რაღაც პერიოდი აქ მომიწია ცხოვრება. 2008 წელს შევიძინე 1500 კვ.მ მიწის ფართი. ამ ყველაფრის მიზანი იყო სწორედ ის, რასაც ახლა ამჟამად აქ ხედავთ. ტურიზმის მენეჯმენტის პირველი კურსდამთავრებული ვარ, რაც დამატებით გამოცდილებას ნიშნავდა და მოტივაციასაც მაძლევდა, ამის შემდეგ, იდეაში ყოველთვის მქონდა აგროტურიზმის

განვითარება, რაც, დამეთანხმებით, მაშინ ძალიან ახალი მიმართულება იყო ტურიზმის.

- რატომ აგროტურიზმი? საქართველოში ახლა იწყებს განვითარებას და ხაშურში ამის გამოცდილება არც გვაქვს...

–რატომღაც ძალიან ტრენდული გახდა, რომ თბილისიდან ძალიან ბევრი ადამიანი უბრუნდება თავის მშობლიურ მიწა-წყალს, რაც ძალიან კარგი პრეცენდენტია. თბილისიდან ვარ, ყოველთვის მინდოდა ჩემი სოფელი მქონოდა და აგროსაქმიანობა მეწარმოებინა. ამის გამოცდილება თითქმის არ მქონდა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზანი იმის, რომ წამოვსულიყავი და საკუთარი შესაძლებლობებით მეცადა. წარმოშობით ჩემი ოჯახი ჯიხაიშიდანაა, თუმცა იქ სოფელი აღარ გვაქვს. ამჟამად ვარ სასტუმრო "წყალტუბო პლაზას" აღმასრულებელი დირექტორი, მაგის გარდა, ვარ გიდი, მყავს ჩემი ჯგუფები, ვმუშაობ ინდივიდუალურ შეკვეთებზე და საბოლოო მიზანი იყო ის, რომ უცხოელი ტურისტები დამებინავებინა აქ, რომ დაესვენათ ქართულ გარემოში, გაცნობოდნენ ჩვენს ცხოვრების წესებს, კულტურას, ამიტომაც გადავწყვიტე, სწორედ ტრადიციული მიმართულებით განმევითარებინა აგროსახლი. ჩვენთან ვერც ადრე და ვერც ახლა ვერ ნახავთ არატრადიციულ მიმართულებებს.

- როდიდან დაიწყეთ მშენებლობა?

–ამ ყველაფერს საფუძველი ჩაეყარა 2008 წელს. თავდაპირველად, აქ მხოლოდ თავისუფალი მიწის ნაკვეთი იყო-ავაშენე სახლი, შემდეგ მივაშენეთ ფანჩატური, ღია სივრცე, ამის მერე დავიწყეთ აგრომეურნეობები, 2016 წელს ჩავყარეთ ოთხი სახეობის ვაზი, შავკაპიტო, გორული მწვანე, თავკვერი და ჩინებული, ესაა 700 კვ.მ, სულ 700 ძირია, პირველად დავწურეთ და დავაყენეთ წელს ღვინო, სულ 180 ლიტრი, ძალიან კარგი ღვინო გამოგვივიდა, ლაბორატორიულად შემოწმებულია და ახლა ვაპირებთ ბოთლებში ჩამოსხმას. ეს ღვინო ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ჩვენი სტუმრებისთვის და იმ ხალხისთვის, ვინც ჩვენთან მოვა.

- როგორ სექტორზეა გათვლილი „ვილა რბონა“, რას სთავაზობთ ვიზიტორებს?

–პირველი სტუმრები უცხოელები იყვნენ, როგორი გათვლაც თავიდანვე მქონდა, რაც გულისხმობს მათ სტუმრობას, დაბინავებას, მომსახურებას გიდით, საქართველოს დათვალიერებას-ანუ მომსახურების სრულ პაკეტს. ვინც ჩვენ გვსტუმრობდა, ფაქტობრივად, ჩვენი უცხოელი მეგობრები იყვნენ, ეს ერთგვარი ტესტი იყო, ვაკვირდებოდით, რამდენად შევძლებდით ამ ყველაფერს, რამდენად მიმზიდველი გარემო იქნებოდა, მინდა გითხრათ, რომ პანდემიის მიუხედავად, ნამდვილად

(დასასრული VI გვერდზე

ვილა „რბონა“ - აგროტურიზმის პირველი კერა ხაშურის მუნიციპალიტეტში

(დასასრული IV გვერდზე

გაამართლა.

ჩვენ ვართ ძირითადად დატვირთული გერმანიის, კანადის, ამერიკის, ჰოლანდიის მოქალაქეებისგან, საკმაოდ მცირე რაოდენობით რუსეთიდანაც გვსტუმრობენ. ამ ეტაპზე, სულ ოთხი საძინებელი გვაქვს, აქედან ორს აქვს დამოუკიდებელი სველი წერტილები და ორს აქვს ერთი საერთო სველი წერტილი, გვაქვს

მისაღები ბუხრით, დია სივრცე, მარანი-მუზეუმი, სადაც ვმასპინძლობთ ჩვენ სტუმრებს, გვაქვს თონე, სადაც ვაცხობთ ნაზუქებს, პურს, რაც არის დამახასიათებელი ამ მხარისთვის.

- რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთან სტუმრობა?

–საკმაოდ ხელმისაწვდომია აგროსახლში სტუმრობა, ამ პირობებიდან გამომდინარე, ჩვენ ისევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ ფასებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ოთახი 60-70 ლარი მხოლოდ განთავსება ორ ადამიანზე, ამის გარდა, ვთავაზობთ საუზმეს, რომელიც ეღირება 15 ლარი(ერთ ადამიანზე), სადილი 25 ლარი. ეს იქნება დამზადებული იმ პროდუქტებისგან, რომელიც ჩვენ გვაქვს, ან ჩვენ ვთამაშრომლობთ ფერმერებთან, რომლებიც გვაწვდიან იმ პროდუქტებს, რომლებიც ჩვენ არ გვაქვს ამ ეტაპზე. ეს არის, ქართლისთვის დამახასიათებელი წვნიანი კერძები და ვცდილობთ მაქსიმალურად, შევინარჩუნოთ ეს ნიშა.

- ოჯახური საქმეა?

–ეს არის ოჯახური საქმე, როდესაც გვყავს ვიზიტორები, ამაში მთელი ოჯახი ვართ ჩართული. ამ ეტაპზე, გვყავს დამხმარე ქალბატონი, რომელთან ერთადაც ვმასპინძლობთ სტუმრებს.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?



–სამომავლოდ აუცილებლად ვგეგმავ აქ გადმოსვლას საცხოვრებლად, მეორე არის ის, რომ ძალიან მინდა, ჩვენი აგროსახლი და ეს ვილა და ღვინო, გაიცნოს ყველამ, ამისთვის მზად ვართ და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ ამ ეტაპზე, ყველა იმ რეგულაციის დაცვით, რასაც სახელმწიფო აწესებს.

თ. ჯავახიშვილი

- ოთარ ხაჩიძის ხსოვნას -

მშვიდობით, სიცოცხლეშივე ნათელო კაცო...

სახეზე ნათელი გადადიოდა, მოდიოდა და თითქოს მასთან ერთად ყველაფერი კრიალებდა, შინაგანი წესრიგი მისი უპირველესი თვისება იყო, ხოლო სილამაზის აღქმა და საკუთარ თავსა თუ გარშემომყოფთა შორის ამის დამკვიდრება – მისი უპირველესი თვისება, ამიტომ, სადაც ოთარი იყო, იქ აუცილებლად იქმნებოდა დიდი ესთეტიკური სამყარო, რომლის გმირიც პატარა დეტალსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მისი უპირველესი მეგობარი წიგნი იყო, ჩემს თაობაში წიგნის კითხვითა და სიყვარულით თითქოს ვერავის გააკვირვებდი, მაგრამ მისი დამოკიდებულება წიგნებისადმი კიდევ უფრო ღრმა იყო.

სადაც იმუშავა, თავისი კვალი დატოვა, ცხრამუხის სკოლიდან დაიწყო და ქალაქის მე-4 სკოლით გააგრძელა, ორივეგან საკუთარი ხელწერა შექმნა, პროფესიით ისტორიკოსი, სულით ინტელიგენტი, მოწოდებით ლიდერი. ასეთი იყო ჩვენი ოთარი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული რაიონული ღონისძიებები კი მართლაც გამოირჩეოდნენ დიდი პასუხისმგებლობით და აკადემიურობით. მოხდა ისე, რომ ჩვენი გზები ხშირად ჰკვეთდა ერთმანეთს. განათლების განყოფილების გამგის ადგილი ჩემ შემდეგ ოთარმა დაიკავა. მანამდე უკვე გამოვლილი ჰქონდა სასკოლო და პედაგოგიური გამოცდილების დიდი სკოლა. მერე ოთარი რაიონის გამგებლად დანიშნეს და განათლების განყოფილების გამგის ადგილი კვლავ გათავისუფლდა. დამირეკა და მითხრა: ეს ადგილი შენ გელოდება, სამართლიანობა უნდა აღვადგინოო. ასეც მოხდა. ერთი წელი მისი გამგებლობის შესანიშნავი პერიოდი იყო. ირგვლივ ყველაფერი გააკრიალა, ურთირთობები დაალაგა, სადაც მიდგებოდა და მოდგებოდა შუქს ჰფენდა ყოველივეს. უმუხთლეს, ერთი წლის შემდეგ სრულიად გაურკვეველ ვითარებაში გამგებლის თანამდებობა დაატოვებინეს. უმუშევარი დარჩა. შევწუხდით. რამდენიმე დღის შემდეგ, სახლში მოვინახულე მეგობრებთან ერთად და სრული სერიოზულობით ვუთხარი, რომ განცხადებას დავწერდი და განყოფილების გამგის თანამდებობას დავტოვებდი, ოღონდ ის დაბრუნებოდა ძველ სამსახურს. სახეზე ჩვეული ნათელი გადაეფინა, თვალებშიც სხვაგვარი შუქი ჩაუდგა, აშკარად გამოხატა მადლიერება, მაგრამ თავაზიანად იუარა, არადა, გულწრფელად ვიყავი ამისთვის მზად. მერე, გარკვეული წლების შემდეგ, საკრებულოში იმოღვაწა, აქაც მისთვის ჩვეული პუნქტუალობითა და ობიექტურობით.

სამეგობროს გული იყო. სუფრასაც განსაკუთრებით შვენოდა, ჩინებულ თამადას სიტყვა და ლექსი საძებარი არ ჰქონდა. ხოლო შეხვედრებსა და ღონისძიებებზე ოთარის სიტყვა ყოველთვის განსაკუთრებულად სწვდებოდა მსმენელის გულს. გულღია მასპინძელი იყო ხაშურში „ლესიაობის“ დღესასწაულზე ჩამოსული უკრაინელი სტუმრებისა, ყველგან და ყოველთვის, ოთარი რჩებოდა ნამდვილ ლიდერად, ადამიანად, რომლის სიტყვას ყოველთვის პატივს სცემენ და ენდობიან.

ნაადრევად დატოვა წუთისოფელი, ჯერ სამოცდახუთიც არ შესრულებია, მაგრამ იცხოვრა ისე, რომ კიდევ დიდხანს გაიხსენებენ, მოინატრებენ...

მშვიდობით, ოთარ, ძნელია ამ აზრთან შეგუება, მშვიდობით, სიცოცხლეშივე ნათელო კაცო!

მურად მთვარელიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ რაიონის ყოფილი გამგებლის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრის

ოთარ ხაჩიძის გარდაცვალების გამო

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი, იუწყება, რომ გარდაიცვალა ხაშურის მეოთხე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე

ოთარი ხაჩიძე **და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

D პაატა ლალუაშვილი, ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ოთარ ხაჩიძის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.